



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო**  
**SAKREBULO OF MUNICIPALITY OF POTI CITY**



ბრძანება:ბ43. 4324050001

თარიღი:19/02/2024

**„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის შრომის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2023 წლის 19 ოქტომბრის N ბ43. 43232922 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 123-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელი დამტკიცებამდე 2 კვირით ადრე საჯარო დაწესებულების შინაგანაწესის პროექტს წარუდგენს საჯარო მოსამსახურეებს გაცნობის და მასში შენიშვნებისა და წინადადებების შეტანის მიზნით. საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელისათვის ეს შენიშვნები და წინადადებები სავალდებულოა, თუ ეს პირდაპირ გამომდინარეობს კანონიდან. საჯარო დაწესებულების შინაგანაწესს ამტკიცებს საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის შინაგანაწესში ცვლილების პროექტი, გაცნობის, მასში შენიშვნებისა და წინადადებების შეტანის მიზნით, საკრებულოს საჯარო მოსამსახურეებს დამტკიცებამდე 2 კვირით ადრე გადაეგზავნა (გაეცნო) ელექტრონულ ფოსტაზე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობი კოდექსი“ 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკრებულოს თავმჯდომარე ამტკიცებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის შინაგანაწესს.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილება ან დამატება შეიტანება ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემისათვის დადგენილი წესით.

ამდენად, „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის შრომის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2023 წლის 19 ოქტომბრის N ბ43. 43232922 ბრძანებაში, ცვლილება უნდა შევიდეს საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის შეუფერხებლად ფუნქციონირების მიზნით, მიზანშეწონილია ცვლილება შევიდეს საკრებულოს აპარატის შრომის შინაგანაწესში და შრომის შინაგანაწესის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „6. აპარატში დასაქმებულ პირს უფლება აქვს არ გამოცხადდეს სამსახურში კვარტალში 1 (ერთი) სამუშაო დღე (Dayoff), ანაზღაურების დაქვითვის გარეშე, ობიექტური მიზეზით, რის თაობაზეც საკრებულოს თავმჯდომარეს უნდა წარუდგინოს მოხსენებითი ბარათი წინასწარ ან სამსახურში გამოცხადებისთანავე.“. საკრებულოს აპარატის შრომის შინაგანაწესში შესატანი ცვლილება არ ზღუდავს საქართველო კანონმდებლობით დადგენილ საჯარო მოსამსახურეების უფლებებს.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის შრომის შინაგანაწესში ცვლილების შეტანამდე, დაცული იქნა კანონმდებლობის შემოწმებული და სხვა მოთხოვნები.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 123-ე მუხლის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 52-ე, 53-ე, 63-ე მუხლების შესაბამისად, ვბრძანებ:

## მუხლი 1.

1. შეტანილ იქნას ცვლილება „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის შრომის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2023 წლის 19 ოქტომბრის N 43. 43232922 ბრძანებაში, კერძოდ: ბრძანებით დამტკიცებული ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის შრომის შინაგანაწესის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით : „6. აპარატში დასაქმებულ პირს უფლება აქვს არ გამოცხადდეს სამსახურში კვარტალში 1 (ერთი) სამუშაო დღე (Dayoff), ანაზღაურების დაქვითვის გარეშე, ობიექტური მიზეზით, რის თაობაზეც საკრებულოს თავმჯდომარეს უნდა წარუდგინოს მოხსენებითი ბარათი წინასწარ ან სამსახურში გამოცხადებისთანავე.“.
2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეები აღნიშნულ ბრძანებას გაეცნონ დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის <https://apps.gov.ge/> მეშვეობით.
3. აღნიშნული ბრძანება აიტვირთოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე [poti.gov.ge](http://poti.gov.ge).
4. ცნობად იქნას მიღებული ის გარემოება, რომ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს არცერთი საჯარო მოსამსახურე არ არის პროფესიული გაერთიანების წევრი, შესაბამისად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 123-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის შრომის შინაგანაწესში ცვლილების (აღნიშნული ბრძანების) ასლი არ გადაგზავნილა არცერთ პროფესიულ გაერთიანებაზე.
5. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 123-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აღნიშნული ბრძანება და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის შრომის შინაგანაწესში ცვლილება ამოქმედდეს დამტკიცების მომდევნო სამუშაო დღეს.
6. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 123-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა/ უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, საჯარო მოსამსახურეს, სამსახურში მიღებისას გააცნოს საჯარო დაწესებულების შრომის შინაგანაწესი, შინაგანაწესში ცვლილება (აღნიშნული ბრძანება) ხელწერილის დადებით, აგრეთვე უზრუნველყოს საჯარო მოსამსახურის მიერ მისი ნებისმიერ დროს გაცნობის შესაძლებლობა.
7. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს, მისი არ ყოფნის შემთხვევაში საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს.

## მუხლი 2.

1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 62-ე მუხლის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).
2. ბრძანება ძალაშია დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემაში <https://apps.gov.ge/> ელექტრონულად ხელმოწერის დღის მეორე სამუშაო დღეს.

ალექსანდრე ტყეშელაშვილი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-  
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

